Anaklia
Development Consortium

6, MARJANISHVILI STREET, TBILISI, 0102, GEORGIA;
TEL: (995.32) 2.95.99.10; **MAIL:** info@anakliadevelopment.ge

282-100/2018
06 ნოემბერი, 2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბ-ნ ლევან დავითაშვილს
მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6, თბილისი 0159, საქართველო

საგანი: „ხორგა-ანაკლიას“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ (შემდგომში „**კომპანია**“) ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ახორციელებს „ხორგა-ანაკლიის“ ორჯაჭვიანი 35კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მიზანია სოფელ ანაკლიაში კომპანიის მიერ მშენებარე ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ელექტროენერგიით მომარაგება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 23 აგვისტოს გაიცა სკოპინგის დასკვნა N35, რომლის საფუძველზე კომპანიის კონსულტანტმა, შპს „გამა კონსალტინგმა“ მოამზადა შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების („**გზშ**“) ანგარიში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ და დამატებით დოკუმენტაციას (იხ. დანართები), და გთხოვთ გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება „ხორგა-ანაკლიას“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ლევან ახვლედიანი

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“
გენერალური დირექტორი

<u>**დანართები**</u>:

1. „ხორგა-ანაკლიის“ ორჯაჭვიანი 35კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიში (მატერიალური და ელექტრონული ფორმით);
2. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით);
3. საპროექტო დერეფნის არქეოლოგიური კვლევის შედეგები (მატერიალური და ელექტრონული ფორმით);
4. საპროექტო დერეფანში გაყვანილი ჭაბურღილების ჭრილები (მატერიალური და ელექტრონული ფორმით);
5. საპროექტო დერეფანში ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები (მატერიალური და ელექტრონული ფორმით);
6. სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან“ და სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან“ შეთანხმების დაწყების დამადასტურებელი წერილების ასლები;
7. საქმიანობის განხორციელების დერეფნის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) კოორდინატები Shape ფაილის სახით (ელექტრონული ფორმით);
8. შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (მატერიალური ფორმით); და
9. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.